ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისია

2024 წლის 24 აპრილიდან აცხადებს კონკურსს

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კონკურსის ძირითადი პირობები

კანდიდატთა წარდგენის წესი/ნაწარმოების წარდგენისათვის დადგენილი პირობები:

- პრემია, როგორც წესი, ენიჭება საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პრემია შეიძლება მიენიჭოს უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს.
- პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე იმ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებს, შემოქმედებით ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც საქმიანობენ ლიტერატურის დარგში.
- პრემიის მოსაპოვებლად შესაძლებელია ავტორთა ჯგუფის/თანაავტორთა წარდგენა.
- პირი არ შეიძლება წარდგენილი იყოს ორი სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად ერთი ნაწარმოებისათვის.
- პრემია შეიძლება მიენიჭოს გარდაცვლილ ავტორს იმ შემთხვევაში, თუ მისი ნაწარმოები გამოქვეყნდა საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულებამდე და აკმაყოფილებს პრემიის მინიჭებისათვის კანონმდებლობით დადგენილ პირობებს.
- ლიტერატურული ნაწარმოების წარდგენა დასაშვებია მისი დასრულებული სახით გამოქვეყნების შემდეგ.
- პრემიის მისანიჭებლად საკონკურსოდ დაიშვება საკონკურსო წლამდე 5 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ორიგინალური ნაწარმოები.
- დაუშვებელია ერთი და იმავე ნაშრომის განმეორებით წარდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაშრომი საკონკურსოდ არ იქნა დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამო.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) წარდგინება ნაწარმოების აღწერა-დახასიათებითა და იმ განსაკუთრებული ღირსებების აღნიშვნით, რის გამოც ხდება მისი ავტორის პრემიის მოსაპოვებლად წარდგენა; დოკუმენტს ხელს უნდა აწერდეს წარმდგენი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი;

ბ) საკონკურსო ნაწარმოების შესახებ მედიაში გამოქვეყნებული რეცენზიები და სხვა მასალა ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;

გ) ლიტერატურული ნაწარმოები - 9 ეგზემპლარად (მათ შორის, ერთი ორიგინალი მაინც);

დ) კანდიდატის ბიოგრაფია (CV);

ე) კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი.

საკონკურსო განაცხადისა და თანდართული მასალის მიღების ვადა და ადგილი:

პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადები და ნაწარმოებები მიიღება 2024 წლის 24 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ათონელის ქ. N25, საფოსტო ინდექსი - 0108.

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (ცხელი ხაზი): + 995 32 2288888